



# სამოქალაქო და სოციალური ჩართულობის ცენტრები უნივერსიტეტებში

რეკომენდაციები

პროექტი: CURE

კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიული  
პრინციპების ხელშეწყობისათვის ისრაელსა და საქართველოში

თბილისი  
2018



სამოქალაქო  
განვითარების  
ინსტიტუტი



CIVIC  
DEVELOPMENT  
INSTITUTE



The European Commission's support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents, which reflect the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.



### ავტორები:

ანა ბეჟანიშვილი (ილიაუნი)  
ლიკა ზაალიშვილი (ილიაუნი)  
ლაშა მაჭარაშვილი (ილიაუნი)  
შალვა ჩხეიძე (ილიაუნი)  
სალომე ხურციძე (ილიაუნი)  
ხათუნა ბუსკივაძე (თსუ)

ხელმძღვანელები: თამარ მოსიაშვილი და გიორგი გახელაძე

### ასისტენტები:

ხატია გოგობერიშვილი (თსუ), თედო სართანია (ქუნი), მანანა კოხოძე (სჯსუ), თამარ ახალკაცი (სჯსუ), შორენა ფაღვა (ბსუ), ია კუბლაშვილი (ბსუ), თაკო მანაგაძე (ქუნი)

რეკომენდაციები მომზადებულია პროექტის "CURE - კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლების და დემოკრატიული პრინციპების ხელშეწყობისათვის ისრაელსა და საქართველოში" ფარგლებში



სამოქალაქო  
განათლების  
ინსტიტუტი



CIVIC  
DEVELOPMENT  
INSTITUTE



## შესავალი

სამოქალაქო აქტივიზმი ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარების, კულტურული, პოლიტიკური თუ სოციალური წინსვლის აუცილებელი წინაპირობაა. ქვეყნების განვითარების ისტორიულ გზაზე მას ყოველთვის უდიდესი როლი ჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებული აქტუალობა სამოქალაქო აქტივიზმმა მას შემდეგ შეიძინა, როდესაც მსოფლიო დემოკრატიული გამოწვევების წინაშე დადგა. სამოქალაქო აქტივიზმი, როგორც სამოქალაქო საზოგადოების აუცილებელი მახასიათებელი, გულისხმობს აქტიურ მოქალაქეობას ანუ მოქალაქეთა ჩართულობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მათ პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მიმართ.

პროექტ „CURE“-ის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ახალციხე) სტუდენტები გეგმავენ სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერებას საუნივერსიტეტო სივრცეებში, რისთვისაც დაგეგმილია სამოქალაქო აქტივიზმის ცენტრების შექმნა უნივერსიტეტებში, რომლებიც გააძლიერებს სამოქალაქო განათლების პრაქტიკულ ასპექტებს და ხელს შეუწყობს სოციალური ჩართულობის ზრდას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს შორის.

## კვლევის დასკვნები

პროექტ „CURE“-ის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მონაწილე სტუდენტებს კარგად ესმით სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა და დაინტერესებულნი არიან მისი განვითარებით, თუმცა მათი ჩართულობა ამ პროცესში დაბალია. რესპონდენტები ხაზს უსვამენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამოქალაქო აქტივიზმის მხარდაჭერის აუცილებლობას და გვთავაზობენ კონკრეტულ გზებს ამ მიზნის მისაღწევად. სამოქალაქო აქტივიზმის აღქმა მეტ-ნაკლებად ერთნაირია სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის, თუმცა სასწავლო დაწესებულებების სპეციფიკიდან გამომდინარე, რესპონდენტები ასახელებენ სხვადასხვა ხელშემშლელ და ხელშემწყობ ფაქტორს, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სამოქალაქო აქტივიზმის მხარდასაჭერად აუცილებელია უნივერსიტეტის სპეციფიკის გათვალისწინება. სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების საშუალებად სტუდენტები საჯარო ლექციებს ასახელებენ, ხოლო უშუალოდ მის ხელშემწყობ ყველაზე ეფექტურ ღონისძიებად, სტუდენტები უნივერსიტეტსა და სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის კავშირების გაძლიერებასა და სტუდენტების მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობას მიიჩნევენ.


ასევე, სამაგიდე კვლევის შედეგად გამოიკვეთა თუ როგორ ხორციელდება სამოქალაქო აქტივიზმის წარმატებული პრაქტიკები სხვადასხვა დასავლურ უნივერსიტეტში. მაგალითისათვის, უნგრეთის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი ყოველწლიურად 700-ზე მეტ საჯარო ღონისძიებას მასპინძლობს და ჩართულია ისეთ საზოგადოებრივ საქმიანობებში, როგორიცაა ბოშა ბავშვებისათვის ინგლისურის სწავლება და სასწავლო ინიციატივები ლტოლვილებისათვის. სათემო აქტივობებში მჭიდროდაა ჩართული ლივერპულის უნივერსიტეტიც გაერთიანებულ სამეფოში. აშშ-ში ვაშინგტონის ამერიკული უნივერსიტეტი ახორციელებს სათემო პროექტს DC Reads, თემის არაპრივილეგირებულ ბავშვებში კითხვითი უნარების გასაუმჯობესებლად.

## რეკომენდაციები

- უნივერსიტეტების მისიისა და საქმიანობის განუყოფელი ნაწილი, აკადემიურ საქმიანობასთან ერთად, უნდა გახდეს საზოგადოებრივი საქმიანობა (ქალაქის, თემის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მომსახურება);
- სამოქალაქო აქტივიზმი და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობა გახდეს კურიკულუმის და ცალკეული საუნივერსიტეტო კურსების აუცილებელი ნაწილი;
- უნივერსიტეტი გახდეს ღია სადისკუსიო პლატფორმა საზოგადოებრივად აქტუალურ საკითხებზე აკადემიური განხილვისათვის;
- სამოქალაქო აქტივიზმისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო პროექტების მიუკერძოებელი, თანასწორი და გამჭვირვალე მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება უნივერსიტეტებში;
- უნივერსიტეტის წარმატების მნიშვნელოვანი ინდიკატორი გახდეს სერვისის განხორციელება;
- სახელმწიფო უნივერსიტეტებში სტუდენტური თვითმმართველობის პრივილეგირებული ინსტიტუტის შეცვლა ან/და უნივერსიტეტების ხელმძღვანელობის არჩევაში სტუდენტების პირდაპირი მონაწილეობა;
- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში სავალდებულო ღირებულებებითი კომპონენტის შესაბამისი შეფასების სისტემის დანერგვა ყველა დონეზე;
- შეიქმნას სამოქალაქო აქტივიზმის ცენტრები უნივერსიტეტებში, რომლებიც ყველა აქ ჩამოთვლილი რეკომენდაციის განხორციელების საშუალებაა.

## ცენტრის სტრუქტურა

- ცენტრს მართავს წარმომადგენლობითობის პრინციპის დაცვით არჩეული აკადემიური პერსონალი;
- ცენტრის ხელმძღვანელის არჩევაში, გადამწყვეტი ხმის უფლებით, ჩართულნი არიან სტუდენტები;
- ცენტრის აღმასრულებელ რგოლში, აკადემიურ პერსონალთან ერთად, წარმოდგენილნი არიან სტუდენტები გადამწყვეტი ხმის უფლებით;
- ცენტრის ხელმძღვანელის არჩევა და მისი თანამდებობაზე ყოფნის ხანგრძლივობა რეგულირდება უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით;
- ცენტრის საქმიანობების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში ძირითადი აქტორი არის სტუდენტი;



## ცენტრის საქმიანობები

საქმიანობის სფერო	საქმიანობები <sup>1</sup>	მაგალითები
სწავლა	ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო კურსების ორგანიზება უნივერსიტეტის წევრებისათვის	ტრენინგები, კურსები, საჯარო ლექციები
კვლევა	სამოქალაქო და სოციალური აქტივიზმის შესახებ კვლევების წარმოება უნივერსიტეტის წევრების მიერ	სტუდენტური თვითმმართველობის ეფექტურობა, როგორ ესმით საზოგადოებრივი საქმიანობა...., სტუდენტთა საჭიროებების კვლევა და სხვ. <sup>2</sup>
საზოგადოებრივი საქმიანობა	საზოგადოებრივი საქმიანობის ინტეგრირება სასწავლო პროცესში	კრედიტების აღიარება/მინიჭება სხვადასხვა საზოგადოებრივი საქმიანობისათვის
	მოქალაქეობის შესახებ ცოდნა-გამოცდილების გავრცელება	მოხალისეობრივი აქტივობები, ცნობიერების ამაღლების კამპანია

<sup>1</sup> ესა თუ ის აქტივობა შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე სფეროს

<sup>2</sup> კვლევა უნდა უკავშირდებოდეს როგორც სწავლის, ისე საზოგადოებრივი სერვისის სფეროს და მიმართული უნდა იყოს მათი გაუმჯობესებისაკენ